**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



გაზეთი „ივერია“ პირველის ივნისიდგან წლის დამლევამდე ღირს 6 მან. და 50 კაპ.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

**ლექსიკონი**

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რუსული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

**ქართული თეატრი**

(როსსის წარმოდგენები)

შაბათს, 2 ივნისს,

**კინი**

კომედია 4 მოქმედ. და 5 სურ., თხზ. ა. დიუმასი

კინის როლს როსსი შეასრულებს.

კვირას, 3 ივნისს,

**მაკბეტი**

ტრაგედია 5 მოქმედ., თხზ. შექსპირისა

მაკბეტის როლს როსსი შეასრულებს.

დასაწყისი 8 საათზედ.

დაკვეთილი ბილეთები დილის 12 საათამდე შეინახება. ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში დილის 10—$2^1/_2$ საათამდე და საღამოს $4^1/_2$ საათიდგან წარმოდგენის გათავებამდე.

თეატრის ადმინისტრაცია მაყურებელ ქალებსა სთხოვს, რომ პარტერში შლაპები მოიხადონ.

ადმინისტრატორი ფორკატტი


## ახალი ამბავი

*** ივნისის პირველ რიცხვებში ტფილისში მოელიან ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესსორს ბ-ნ კრასნოვს, რომელიც ოთხის სტუდენტითურთ მიდის კავკასიაში საბუნებისმეტყველო გამოკვლევათათვის. გზაზე ბ-ნი კრასნოვი დაათვალიერებს ყაზბეგს და კაჲკაჲის მაზრას, მხოლოდ ტფილისიდგან ამავე აზრით ბ-ნი კრასნოვი გაემგზავრება ქუთაისში და სვანეთში და შემდეგ ჩრდილო-კავკასიაში: კრასნოვოდსკში, ესენტუკში და სხვ.

*** გამოჩენილს არტისტს როსსის, რომელიც ამ ჟამად ტფილისშია, გამოუცხადებია სურვილი, რომ მინდა ვნახო აქაურ სომხეთა და ქართველთა სათეატრო დასების წარმოდგენაო. სომხეთა დასი უკვე აპირობს წარმოდგენის გამართვას. ჩვენი სათეატრო დასი ამ ჟამად მოგზაურობაშია ქუთაისისაკენ და იმისთვისაც მიუწერიათ ეს გარემოება. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი დასი გამოეშურება ტფილისს და გაჰმართავს ქართულს წარმოდგენას, რათა მით თავისი თავიც გააცნოს როსსის და თითონაც ჰნახოს ეს საკვირველი, მთელს ევროპაში განთქმული არტისტი და მისი ხელოვნებით აღსავსე თამაშობა.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ თავადი თარხანოვი, ტფილისის სათავად აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის დირექტორად ამორჩეული, სამხედრო სამსახურს თავს ანებებსო.

*** ქუთაისი: ახალი ზედამხედველი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა ბ-ნი იაროსლავი, აქამდე ტფილისის სასულიერო სასწავლებელში ნამყოფი მასწავლებლად, უკვე ჩამოვიდა. ძველი ზედამხედველი, ბ-ნი ნ. ტატიშვილი, გადაყვანილ იქმნა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ისევ ზედამხედველად. ბატონი ტატიშვილი კარგა ხანს იყო ზედამხედველად და არავითარი სამდურავი არ გაგვიგონია იმის შესახებ. პირ-იქით მწუხარეობენ კიდეც, რომ მოგვშორდა კაცი, რომელმაც შესამჩნევი ღვაწლი დასდო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს, სადაც მრავალი შეგირდებია და სადაც მის დანიშვნამდე, სამწუხაროდ ჩვენდა, ხშირად იყო ხოლმე სხვა-და-სხვა უსიამოვნება და ერთხელ ხომ საშინელი კაცის კვლაც მოხდაო.

*** ხევი: აქ ყვავანა ხველა შემდეგს სოფლებში მძვინვარებს: გარბანს, კარკუჩას, სნოს და სტეფან-წმინდას. სანამ ზამთარი იყო და ციოდა, მშვიდობიანად ხდილობდნენ, დათბა და ახლა-კი იხოცება წვრილ-ფეხობა. ხალხმა არც თითონ იცის, ავადმყოფებს როგორ მოუაროს და რა უწამლოს და არც მთავრობას ატყობინებენ, რომ მკურნალი გამოუგზავნონ. ავადმყოფები 2—3 თთვის განმავლობაში საშინელის ტანჯვის შემდეგ ძლივსა რჩებიან ამ სენისაგან. მოსალოდნელია, გარდა ზემოდ ჩამოთვლილ სოფლებისა, დანარჩენ სოფლებსაც მოედოს ეს სენი, თუ, ვინც ვალია, დროზე მკურნალი არ მოგვაშველა.

*** ოსიდამკვე: ზამთარმა საზოგადოდ კარგად გაიარა, მაგრამ გაზაფხული-კი არაფერი საქებია. ავერ ორი თთვე მიდის, რომ ორჯელ ძლივს გვეღირსებია ცის ნამი; ბალახი არ არის და ჭირნახულსაც ძლიერ ცუდი პირი უჩანს. ცხვრის პატრონებმა ცხვარი კარგად გამოკვებეს ზამთარში, მარშანდებურად აღარ დაეხოცათ.

*** ამ დღეებში მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეკზარხოსი პალადი, როგორც ისმის, ტფილისიდგან პეტერბურგში გაემგზავრება, რათა დაესწროს უწმინდესის სინოდის კრებაზე (გაზ. „მწყემსი“).

*** 30 მაისს, ღამის ცხრა საათზე, მიხაილოვის ქუჩაზე რამდენსამე ტფილისის ქალაქის სასწავლებლის შეგირდებს ჩხუბი მოუვიდათ სხვა-და-სხვა სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებთან. ამ ჩხუბის დროს სახელოსნო სასწავლებლის შეგირდმა ლარშემ, გერმანიის ქვეშევრდომმა რობერტ გაზენმა, მსუბუქად დანით დასჭრა მარცხენა ხელში იმავე სასწავლებლის შეგირდი სამსონ კიპრიზოვი. დაჭრილს შემწეობა აღმოუჩინეს. რობერტ გაზენი შეიპყრეს.

*** ამ თთვის სხვა-და-სხვა რიცხვში სასტუმროებში „ბერლინ“-ში, „კავკაზში“, „სევერნიჲ ნომრები“, „კაზლოვისა, სარაჯოვისაში და მუხრანის ნომრებში“ მოჰპარეს კაპიტანს ს. თ. ფალავანდოვს საათი, პრაპორჩიკს ისკანდერ-ბეგ გრუბოვს ვერცხლის საათამბაქო, ვაჭარს ოჰანეს შხიანცსა ტრიკოს პალიტო, კაპიტანს იაროპაიას ოქროს საათი, აზნაურს ალექსანდრე ზუბალოვს ტრიკოს პალტო და ვიგიმა მამიკონოვს ტრიკოსავე სერთუკი და

## ფელეტონი

### წერილი მეგობართან

ძმაო ექვთიმე!

სიბრიყვესთან ახლო ნათესაობა აქვს ერის სხვა მოვლენას, საზოგადოების, რასაკვირველია, რომელსაც წოდებრივი სიჯიუტე (сословный предразсудокъ) ჰქვიან: როგორც პირველი მტერი წინ-სვლისა, ცხოვრების გაუკეთესებისა, ისე ეს მეორე. ორივეს პირიქით ეჯავრება პროგრესი და სიმართლე; სიბრიყვეს სიბრიყვისა გამო არ ესმის უკეთესი დღევანდელზე, ხოლო მეორეზე ამას ვერ ვიტყვით, მეორეს ხშირად ესმის სიმართლე, აზრი, მაგრამ იგი ამ აზრს შემწეობას არ აღმოუჩენს, არამედ უშლის კიდეც მის განხორციელებას. დიაღ, ეს სიჯიუტე ჰხედავს კარგად, რომ თუ არ იჯიუტა, მისი პირადი სარგებლობა იჩაგრება; სიჯიუტე პიროვანს სარგებლობაზეა დამკვიდრებული, რამდენიმე კაცი ჰყავს სახეში,—მუდამ მცირედი ნაწილი საზოგადოებისა, იმათი სახელი და სახრავი ქვეყანა იმდენად ახსოვს, რამდენადაც მისი პირადობა მოითხოვს. განათლებული კაცი გაკვირვებულია, რად სჯერა მდაბიო ხალხს კუდიანები, ქაჯები, მკითხავები, ალ-ქარები და სხვა-და-სხვა. თუ მას ჩაუვარდა ხელში უბირი კაცი, დიდის თავ-მოწონებით დაუწყებს საუბარს და აჯერებს, რომ ყველა ეგ შენი რწმენა ცრუ-მორწმუნეობაა, უბირის გონებისა და ფანტაზის ცულლუტობააო. მაგრამ ესევე ვაჟბატონი, დიდის გულით, არც-კი სცხვენიან, დაიწყებს ყოყლოჩინობას, იბერება, იჭიმება, რადა, თუ იცი? იმიტომ, რომ „ჩემთა მამა-პაპათა რომი დაიხსნეს განსაცდელისაგანაო“. ძალიან კარგი, მამა-პაპამ დაიხსნა, შენ რა? შენ პირადად ვინ დაიხსენი? ვის რა არგე? ვის უშველე? ვის მოსწმინდე თვალიდამ ცრემლი მწუხარებისა? ვსთქვათ, ბევრს ბეჩავსა ჰშველი დღესაც, უშველე წინადაც, განა ეგ უფლებას გაძლევს შენგან დახსნილს, შენგან ნაშველს სისხლი და ტყვინი სწოვო?! ნუ თუ ეს უფრო მავნებელი ცრუ მორწმუნეობა არ არის? პირველი, ე. ი. მდაბიო კაცის ცრუ-მორწმუნეობა, განა იმდენს დააშავებს, რამდენსაც ამ ჯურის განათლებულის ცრუ-მორწმუნეობა? ევროპელებმა აღმოაჩინეს ამერიკა და განა ამიტომ უფლება ჰქონდათ იმათ ისე სასტიკად მხეცურად მოჰკიდებოდნენ ნაპოვნის ქვეყნის მკვიდრთ, როგორც ისინი ეპყრობოდნენ? ევროპელებს ამერიკელნი მხეცებად მიაჩნდათ, რომლების გაქლეტა იყო თავ და პირველად საჭირო; იმათ გონებაში ფეხს ვერ იკიდებდა ის კაცური, ადამიანური ფიქრი, რომ ამერიკელებიც ისეთივე ხალხი, ადამიანებია, როგორც თვით ევროპელნი. რადა? იმიტომ, რომ ევროპელს ევროპელობით თავი მოსწონდა და „ძალაც შესწევდა ქადილსა“. პორტუგალელები სისტემატიურად ჰქლეტდნენ ბრაზილიის მკვიდრთ: ველურებს ასაჩუქრებდნენ გადამდების სენით დახოცილ პორტუგალელების ტანისამოსით, რათა ადრე და მალე გამწყდარიყვნენ. ავსტრალიელებს შაბიამან ნარევის პურით უმასპინძლდებოდნენ ევროპელნი. ამ გვარად ევროპელი ევროპელს უდანაშაულოდ არ მოეპყრობა და თუ მოეპყრო, იგი ამ საქციელისათვის დაუსჯელი ვერ გადურჩება კანონს. თვით ველურ ხალხსაც ესევე სჭირს ზნეთ: ისინიც უდიერად ექცევიან უცხო თემის ადამიანებს, როცა ტყვედ ჩაუვარდებათ ხელში. ჩვეულება და სინიდისი ველურებსაც ნებას აძლევს, მოჰკლან და გაჰქურდონ უცხო კაცი. ძველად სპარტაშიაც ხომ სახელი იყო თავის ქვეყნის გარეშე ოსტატური ქურდობა.

ეს ზემო მოყვანილი მაგალითები წოდებრივის სიჯიუტის მსგავსი და მისი დამამტკიცებელია. სიჯიუტესთან ერთად სიბრიყვეა და აქვე ზნეობა პატარა ალაგას არის შემოფარგლული, შემწყვდეული, გრძნობას მოვალეობისას აქ ადგილი არა აქვს. კაცი იმას ეპყრობა სამართლიანად, ვინც თავის ტოლად მიაჩნია შთამომავლობით, ჯიშითა და სისხლით. ევროპელებს კაცებად არ მიაჩნდათ ველურნი, რადგან ისინი სხვა ჯიშისანი იყვნენ, და ამიტომ ეპყრობოდნენ ისე, როგორც მონადირე ნადირს ეპყრობა, თუმცა ორივე თვალით ჰხედავდნენ, რომ ველურთაც ღვთის სახე ჰქონდათ. ის როდი აკმარეს განათლებულმა ევროპელებმა ველურთა, რომ მიწა წყალი წაართვეს და იმათ კერაზე მოიკალათეს, თავის გულ-კეთილის მასპინძლების საწამლავით გაქლეტაც მოიწადინეს. განა რომის პატრიციები ესევე არ ეპყრობოდა თავის მონებს, პლებეებს? თუნდ ძაღლზე გასცვლიდა, თუნდა გაჰყიდდა, თუნდ თავს მოჰკვეთდა, ან ჯვარზე გააკრავდა, ან მხეცებთან საომრად გამოიყვანდა, რომ პლებეის სისტემატიურის, ნელ-ნელ ტანჯვითა და სიკვდილით დაოლქა... სპარტანელნი პლებეებზე ისე ნადირობდნენ, როგორც კურდღლებზე: სალამ-საღამოობით მშვიდ-ისრებით უსხდებოდნენ გზაში სამუშაოდგან დაბრუნებულს პლებეებს და ჰქლეტდნენ. მათთვის სასიამოვნო გართობა იყო ესა, ხელი არ აუკანკალდებოდათ ამ დროს, ფერი სირცხვილისა არ გადაედებოდა იმათს პირ-სახეს, სინიდისს სარკველი მდუმარებისა ეფარა ამ დროს იმათს გულში. ან-კი რა გასამტყუნარნი იყვნენ? აზროვნობა ისე იყო მომართული მაშინ, რომ ამისთანა საქციელი ცოდვად და სირცხვილად არავის მიაჩნდა... დღეს განა მოიპოვება ისეთი განათლებული კაცი, რომ საზიზღარ კანონად არ მიაჩნდეს ძველნი ინდოელთ აჯამური კანონი: პარია ან სუდრა რომ დასჯდომოდა გვერდზე წარჩინებულს კაცს, უეჭველად სიკვდილით უნდა დაესაჯა. დიაღ, დღეს ჩვენ ეს წესი და ჩვეულება გვაკვირვებს, მეტად საზიზღარ ჩვეულებად მიგვაჩნია, მაგრამ იმ აჯამებს, იმ კაცობრიობის ანაცერს ქატოს—პარია და სუდრა რომ ჰქვიან,—ნამდვილ წესად მიაჩნდათ ეს თავის ბრიყვული საქციელი, სხვა რიგად იმათი გული და გონება ვერა სჭრიდა. როცა ამ ნაირს ჩვეულებას ფესვები ჰქონდა გადგმული საზოგადოების ცხოვრებაში, მაშინ სუდრა ახად მიიჩნევდა თავის თავზე სასჯელს ადგომა დაჯდომის წესის დარღვევისათვის. როგორც დიდნი, ისე მცირენი გარემოცულნი იყვნენ ნისლ-ბურუსით და კიდეც იმიტომ ვხედავთ ასეთს ახირებულს მაგალითებს საზოგადოების ... დებულებისას. როგორც დიდნი არიან დამნაშავენი წინაშე უმცროსებისა, ისე უმცროსნი—დიდების წინაშე; ეს უკანასკნელნი, უბირნი, შეუგნებელნი და სუსტნი, თავის ვინაობით საბუთს აძლევდნენ ძლიერთა, რომ სუსტებს თავზე დასწოლოდნენ და მიწასთან გაესწორებინათ. თავ-გზიანს, შეგნებულს როგორ დასჯი ასე ულმერთოდ იმისათვის, როგორ გაბედე და გვერდით დამიჯექიო, უმისოდ, რომ შენც არ მოგხვდეს ცოტა რამ იმ სასჯელისა, ცოტა შენც არ გაგკენწლოს იმ იარაღმა, რომლითაც სხვასა ჰმუსრავ ასე უსამართლოდ?! ნუ თუ შეგნებული კაცი ხელსა და ფეხს არ გაიქნევს და თუ სხვა იარაღი არა აქვს, კბილით მაინც არ იბრძოლებს, ხმითა, ყვირილით მაინც წინააღმდეგობას არ ამოუჩენს თავის მტანჯველებს.

წინა წერილში ტყუილად არა ვწერდი, რომ ყოველ საგანზე სჯაა საჭირო-მეთქი. დიაღ, სჯაა საჭირო, რომ სჯითა და ფიქრით მოიყვანოს კაცმა საზოგადოება ჭკუაზე, გამოაფხიზლოს, თვალები აუხილოს, ავ-კარგი ცალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტსიგარი. ყველა ეს დაკარგული ნივთეულობა იპოვნეს, ქურდიც აღმოაჩინეს და შეიპყრეს. ქურდი ყოფილა თავ. ნიკოლოოზ მიხაილის ძე არგუთინსკი დოლგორუკი 18 წლისა. ეს საქმე გამომძიებელს გადასცეს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ, ამ წერილს „ივერიაში“ ადგილი დაუთმოთ და დაბეჭდოთ. განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძის სახელობაზე შეკრებილ ფულის გამო მრავალნი ლაპარაკობენ და კითხულობენ, ნეტა ამ ფულს რას მოახმარებენო? ზოგთა საყურადღებოდ და ზოგთა საგულისხმოდ მე მოგახსენებთ რამდენსამე სიტყვას და, იმედია, რომ ეს მოხსენება უმნიშვნელო არ დარჩება.

ჩემის მოსაზრებით და მრავალთა სხვებისაც—ძლიერ კარგი იქმნება, რომ მაგ შეკრებილ ფულის 400 მანათზე არა-ნაკლები დაინიშნოს განსვენებულის ქართულის წიგნების გამოსაცემად. ქართული ყველა მისი ნაწერები რომ შეიკრიბოს ერთად და ცალკე წიგნად გამოიცეს, მაშინ იგი გამოვა ორი წიგნი, ისეთის სივრცისა და სისქისა, როგორიც განსვენებულისაგან დაწერილი საქართველოს ისტორიის პირველი წიგნია. მე კარგად ვიცი მისი ნაწერების რიცხვი და ისიც, თუ სად რა არის დაბეჭდილი, ყველა ესენი ვიანგარიშე და ჩემის ზედმიწევნილის ანგარიშით ასე გამოვიდა.

რუსულს ნაწერებზე მე არას ვიტყვი, რადგანაც ყველა მისი რუსული ნაწერები რომ ერთად შეიკრიბოს და ცალკე გამოიცეს, მას არც 2000 მანათი ეყოფა. მის ნაწერებს გულ-მტკივნეული პატრონი რომ ჰყავდეს, მან ყველა ეს ნაწერები შეკრიბოს ერთად და მეცნიერებათა აკადემიას სთხოვოს, მაშინ, მგონი, რომ თვით ის გამოსცემს განსვენებულის ყველა რუსულს ნაწერებს. რადგანაც აკადემიაში მას საპატიო ადგილი და ხმა ჰქონდა, ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ ჩვენ ამ შეკრებილის ფულით გამოიცეს მხოლოდ ის წერილები, რაც-კი განსვენებულს ქართულს ენაზე უწერია. ეს მით უფრო საჭიროა, რომ, თუ ოდესმე აკადემიამ გამოსცა მისი ნაწერები, იგი გამოსცემს მხოლოდ რუსულს ენაზე დაწერილებს. ქართულის ნაწერების დაბეჭდვა-კი ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. ამ გვარად, 400 მან. რომ ერთ წიგნს მოხმარდეს, მეორე წიგნს შემდეგ პირველის წიგნის ფული ეყოფა. დანარჩენი ფული-კი კარგი იქნება, რომ განსვენებულის საფლავს მოხმარდეს, რადგანაც მისი საფლავი უნიშნოდ შთება. განსვენებულის მეუღლეს წადილი აქვს, რომ საფლავზე ძეგლი დაადგას, მაგრამ ამისთვის ღონე და ძალა არ შესწევს, ესე ყოველივე კარგად იციან იმათ, ვინც დაახლოვებით იცის, ბაქრაძის სიკვდილს შემდეგ მისი ოჯახი რა მდგომარეობაში დარჩა. ამიტომ კარგი იქმნება, რომ მაგ ფულის გამგეთ მიჰმართონ განსვენებულის მეუღლეს, მის გამეტებულს ფულს შეუერთონ ეს დანარჩენი ფულიც და ამით ღირსეულს მამულის შვილს ღირსეულივე სამსახური გაუწიონ.

ზ. ჭიჭინაძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Неделя“-ს უკანასკნელს ნომერში ერთი საინტერესო კორესპონდენციაა დაბეჭდილი ტფილისიდგან, საინტერესო იმ მხრით, რომ, ჩვენის აზრით, ამ კორესპონდენციისა და ამას წინად გაზ. „Кавказъ“-ში დაბეჭდილ დიდომის ამბის ავტორი, რომელიც ამტკიცებდა: ხანჯალმა მოჰკლა კაცი თავის და თავადაო, ერთი და იგივე კაცი უნდა იყოს. მოგვყავს ეს კორესპონდენციაც გამოუკლებლად:

ჩვენში დიდი ხანია ატეხილია ლაპარაკი მკვიდრთა იარაღის აყრის შესახებ. ვინც კავკასიაში არა ყოფილა, ის ვერც-კი წარმოიდგენს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საგანს. ჯერ ერთი ისა, რომ რუსეთის მთავრობისათვის ძალიან სასიამოვნო იქნება, რომ თავის სანაპირო ადგილებში, რომელსაც ჰსაზღვრავს ისეთი არა-საიმედო მეზობლები, როგორიც არის ოსმალეთი და სპარსეთი, მშვიდობიანი ხალხი ჰყავდეს დასახლებული, უშიშარი, და გული დამშვიდებული ჰქონდეს, რომ, ვინიცობაა ომი მოხდა, ჩემსავე წინააღმდეგ არ მოიხმარონ იარაღიო. აქაურ მცხოვრებთ ჯერ კიდევ დიდხანს ეხსომებათ ის წელიწადი, წარსულ ოსმალეთთან ომის დროს, როცა ამიერ-კავკასიის მკვიდრნი ხანჯლებს ილესავდნენ რუსებზედ და არეულობა უნდოდათ მოეხდინათ და როცა აფხაზები, გურულები და სხ. ცხადად გადაემხრნენ ოსმალებს. ამას გარდა ათასი უბედურება არ მოხდებოდა, მთავრობის აგენტებისა და აქაურ მკვიდრთა შეტაკების დროს, მამულების განსაზღვრის დროს. დასასრულ, ყოველ დღიური მშვიდობიანი ცხოვრება ხშირად ირღვევა ათასის ვაი-ვაგლახით და ყველა ჰშიშობს თავისის საკუთარის არსებობის მოსპობისა და ქონების დაკარგვისათვის. ჩვეულებრივი ამბავია კავკასიაში დაჭრა და დასახიჩრება ადამიანისა ჩხუბის დროს, კაცის მოკვლისა იქვისა გამო და შეიარაღებით თავს დასხმა ვისიმე გასაძარცვავად. კავკასიელი ისეთის ცხარე ბუნებისაა, რომ შეიძლება უბრალო უთანხმოებამ სისხლის ღვრა გამოიწვიოს. არამც თუ სოფლის ბილიკები, არამედ ლიანდაგები-კი საშიში და საფრთხილოა მოგზაურთათვის: მგზავრმა ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს, თუ ბარგის დაუკარგავად გადარჩა ხიფათს. სძარცვავენ არამც თუ ხალხით სავსე დილიჟანსებს, არამედ ჩაფრებით უზრუნველ ყოფილ ფოსტასაც-კი. რუსებს-კი გზაზედ ხან საქონელს ართმევენ, ხან ფულსა ჰპარავენ და სხვ. ის გარემოება, რომ აქაური იარაღს ატარებს, საფრთხილოდა ჰხდის ცხოვრებას ისეთს დიდს ქალაქებშიაც-კი, როგორიც არის ტფილისი, ბაქო, განჯა და სხვ. დრო-გამოშვებით სასამართლოში ნაწარმოები საქმე მთელს სურათს უშლის ადამიანს ტფილისელთა ზნისა და ჩვეულებისას. ამ ქვეყანაში მკვლელის დაქირავება შეიძლება, ქალის მოტაცება, ადამიანის შეურაცხყოფა და სხვ. ტფილისში ცხოვრება მეტად დიდი გაბედვაა, რადგან ხშირია ამბავი შეიარაღებით თავს დასხმისა, მანდილოსნის შეურაცხყოფისა და ძარცვისა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, აქაურებმა დაჩაგრულის შველა არ იციან და თუ ფეხ ქვეშ გათელილი იმათებური არ არის, პირ-იქით, თითონვე დაუხმარება გამძარცველს. საუკეთესო ქუჩებზედაც-კი რომ გაიაროთ, შეხვდებით თავ-გადადებულ არავის დამნდობთ, რომელთაც შემოგლეჯილი ჩოხა და ჩუსტები აცვიათ, მაგრამ ხანჯალი-კი მშვენიერი აკრავთ. რომ დაინახავთ, ერიდებით, რადგან იმათთვის ადამიანის ყელის გამოჭრა ისევე ადვილია, როგორც ცხვრისა, ან ქათმის დაკვლა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აქაური მკვიდრი იშვიათად ავაზაკობს ადრე მოფიქრებულის განზრახვით, უფრო ხშირად შემთხვევა გამოიწვევს ხოლმე იმის განმძვინვარებას და კიდევ ამიტომ საშუალება უნდა მოვუსპოთ შემთხვევით ადამიანის დასახიჩრებისას. უმეტესად კაცის მკვლელობა და დასახიჩრება იმ ნასვამთა შორის სწარმოებს ხოლმე, რომელნიც ნასვამარს საათის წინად გულითადი მეგობრები ყოფილან. ხან-და-ხან სამიკიტნოდგან უეცრად გამოვარდება ხოლმე რომელიმე ნასვამი მკვიდრი და ხანჯლის ქნევას იწყებს მარჯვნივ და მარცხნივ: „ჩამოდექითო“! მამულების გამო ხომ ხშირად დატრიალდება ხოლმე იარაღი.

საჭიროდ მიგვაჩნია გითქვათ, რომ მდაბიო ხალხი, სოფლელები იარაღის ტარებას ერიდება და მხოლოდ მაშინ იკრავს ხანჯალს, როცა შორს მიდის სადმე; არ ატარებს იარაღს აგრეთვე უმაღლესი თავად-აზნაურობა, ევროპიულად განათლებული (თუმცა-კი რიცხვით მცირეა კავკასიაში). სამაგიეროდ ძალიან ეტანებიან იარაღს სოფლელთა და თავად-აზნაურთა ნაძირალნი. ეს ნაძირალნი არიან სოფლიდგან ქალაქს გადმოსახლებულნი ვაჭარნი, მეზარეულნი, მოსამსახურენი და სხ. გუთანს თავი დაანებეს ამათ, ხელობა არა იციან-რა და ამიტომ ყველაზედ საშიშნი და სარფთხილონი არიან, ოჯახის კერა ამათ არა სწამთ და მთელს თავის სიცოცხლეს ქეიფში ატარებენ. ხასიათით ესენი სულ არა ჰგვანან მშვიდობიანს რუსებს. გუშინდელი თქვენი მზარეული მოსამსახურე, ქურდობისათვის გაგდებული, თუ დღეს სეირნობაზედ სადმე

---

ცალკე დაანახოს, ერთი შეაყვაროს, მეორე შეაძულოს. ძველად და დღესაც ბევრი რამ ხდებოდა და ხდება საზიზღარი საქმე, საზიზღარი აზრი გვესმის კაცისაგან; ესეც იმის ბრალია, რომ ამ კაცს მიუჩვევია თავის გონება უხეიროდ ფიქრისა და აზროვნობისათვის. ჩვეულება, როგორც ბევრში სხვაში-კი იჩენს თავის ძალას, ისე აზროვნობაში. სწორე და მრუდე აზროვნობა [illegible] ბაზე: როგორც დააჩვევ ტვინს, გონებას, ისე ჰფიქრობს და მსჯელობს, ისე სჭრის და ჰკერავს. კაცის ტვინი და გონება იმავე სხეულის ნაწილია, რომელიც ამყოლია ჩვეულებისა, და, მაშასადამე, არც ის უნდა იყოს მოკლებული ჩვეულების გავლენას. ერის სხვა-და-სხვა წოდებად დაყოფას ის შედეგი მოსდევს, რომ სხვა-და-სხვა ყურის, სხვა-და-სხვა ჩვეულების მსჯელობა და აზროვნობა ჩნდება და ამ შედეგს ჰქვიან წოდებრივი სიჯიუტე. ყოველ საგანს, მოვლენას ყველა წოდება თავის სარგებლობის თვალით უცქერის და ამ სარგებლობის მიხედვით ადგენს განაჩენს საგნის, ან მოვლენის სიავ-კარგეზე. ჩვენ გაოცებულნი ვრჩებით, როცა წიგნებიდგან ამოვიკითხავთ ველურთა ჩვეულებას: ამა-და-ამ ველურს ხალხს ჩვეულებადა აქვს, როცა უფროსი (ბელადი) უკვდებათ, იმის საფლავზე სჭრიან თავებს ბელადის ცოლებს და ამალას, რათა საიქიოსაც თან ახლდნენ თავის მბრძანებელსაო. გვიკვირს, როცა გვესმის ინდუსების ჩვეულება, რომლის გამოც ისინი არ მიეშველებიან, კაცი რომ ირჩობოდეს განგის მდინარეში, რათა არ დაიმკვიდროს აგრეთვე მალაის მცხოვრებთა ჩვეულება, მაგრამ ამაზე მეტად საკვირველია ჩვეულება კამჩადელებისა: უკეთუ კაცი ჩავარდა შემთხვევით წყალში, ეს იმის ნიშანია, რომ წყლის ღმერთი თხოულობს იმას თავის მსხვერპლად და, მაშასადამე, კაცი არც-კი უნდა ეცადოს თავს უშველოს, რადგან ღმერთი გაუწყრება [illegible] საქმეს დაჰმართებსო.

ეს ჩვეულება კამჩადელებისა იმდენად საკვირველი არ არის, რამდენადაც დღევანდელის ბატონის სიჯიუტე. ეს ბატონი გულ-მოსული ანგარიშს მოსთხოვს თავის მოსამსახურეს, თუ სითამამე შეატყო, თუნდ სხვა ნაკლულევანება არც-კი ჰქონდეს იმის მოსამსახურეს. ბატონობას სითამამე ეჯავრება. მკითხველისთვის მიგვინდვია იმის გარჩევა, რომელს უფრო ეპატიება დანაშაული: ველურსა თუ განათლებულს ბატონს? ველური ველურად იქცევა, იმიტომ-რომ კარგ საქმედ ისეთი ქცევა მიაჩნია, რაც იმას სიმართლედ სწამს, იმას მისდევს, იმას ემორჩილება, მაგრამ დღევანდელი განათლებული-კი მოხიბლულია ხშირად წოდებრივის სიჯიუტით და სულ წინააღმდეგად იქცევა: რწმენა და საქმე მისი ერთმანეთს არ ეთანხმება, მაინც და მაინც ამ უკანასკნელს არ ეპატიება ორად გაყოფა თავის კაცურის ბუნებისა, რადგან სწავლა მიუღია. ვინ ჩამოსთვლის ყველა იმ მაგალითს, რაც ზარალი მოაქვს წოდებრივს სიჯიუტეს, ამ გაზვიადებულს „მე“-ს, და ამის გამო დაჩაგრულს, გალახულს, დამდაბლებულს „შენ“-ს.

ამ შენ-ჩემობას მეცნიერება სრულიად სხვა თვალით უცქერის და უბედურება ისაა, რომ ვერ შეგვეგნია მეცნიერების აზრი წოდებრივს სიჯიუტის შესახებ და ერთხელვე მიჩვეულნი ერთ გვარს აზროვნობას თავს ვერ ვანებებთ, ვერ გავშორებივართ. მინდა ერთის მეცნიერის ნაწერიდგან ამოვწერო საკმაო ადგილი, სადაც იმას კარგად აქვს განმარტებული ეს წოდებრივი სიჯიუტე: „ევროპაში ძველი პოლიტიკური წესი იმდენად შეიცვალა, რომ ადმინისტრატორი ბატონობის მაგიერად, დღეს ერს ყმობას უწევს. ესევე საჭიროა, ძველმა სამრეწველო წესმა და სოციალურმა წყობილებამ ისეთი იერი და ფერი მიიღოს, რათა მმართველთ მუდამ ახსოვდეთ, რომ იმათი პირადი წადილი და ინტერესი ექვემდებარება იმ ხალხის, უმრავლესობის წადილს, რომლის შრომასა და ცხოვრებასაც ისინი განაგებენ. ერთგვარის გონების მოწყობილობა უშლის მმართველთ გაიგონ სიმართლე, შეიგნონ ის ჭეშმარიტება, რომ, რამდენადაც შესუსტდება წოდებრივი სიჯიუტე და წოდებრივი განკერძოება, იმდენად იმათთვის სასარგებლო იქნება. ისინი ვერა ჰგრძნობენ, რამდენად მაზარალებელია მმართველთათვის ის წესი, რომელსაც ვითომ იმათთვის სარგებლობის მოტანა აქვს საგნად. აბა თვალი გადაავლეთ წარსულს, უკან მიიხედონ და აშკარად დაინახავენ, რომ ჩემი აზრი არ არის უსაფუძვლო. ფეოდალობის დროინდელი ბარონი თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, თუ კიდევ გამოჩნდებოდა ქვეყანაზე მის დროინდელ წეს-წყობილებაზე სხვა უკეთესი წესი. როგორ მედგრად იცავდა ბარონი იმ ძველს წესებს, როგორ ზედ დაჰფოფინებდა, როგორ ლოლობდა თვითონაც იმ დამპალ, უვარგის წესის წყალობითა! საწყალი ვერც-კი ჰგრძნობდა, იმ წეს-წყობილებისა გამო რამდენს ვაი-ვაგლახში იყო ჩაფლული, რამდენი ვაება [illegible] თავსა. მაშინ რომ გამოჩენილიყო ჰკვიანი და გამბედავი კაცი და ეთქვა იმისათვის, რომ შეიძლება ადამიანი უფრო ბედნიერი იყოს, თუნდ ერთი კოშკიც არა ჰქონდეს, განალამც ედგას ციხე-დარბაზები, გარს თხრილით შემოვლებული, და ჰყავნდეს მრავალი ყმა, მოსამსახურე, ამალაო,—ბარონი ამის მთქმელს გიჟს დაუძახებდა. ამაოდ ჩაითვლიდა აგრეთვე იმის თქმა, რომ ის წესები, რომელსაც იგი ემორჩილებოდა, ბევრს მძიმე მოვალეობას ადებდა მას კისრად: განუწყვეტელს ომებს თავს ახვევდა, მეზობლებში მტრობას ჰბადავდა, ბევრი მოღალატე უჩნდებოდა შინა და გარედ, ასე, რომ შეიძლებოდა გამოსჩენოდა ძლიერი მოქიშპე და დაეღუპა. ტყუილი ყბების ქნევა და ენის ცვეთა იქნებოდა, რომ გეთქვა მისთვის, უხეირო წესის ბრალია, ბარონო, რომ ყმებსა და ვახალებს ერთმანეთში უთანხმოება მოსდითო და რომ უხეირო პურს მიირთმევ უხეიროდ მოვლილის მამულისას და უხეირო საჭმელსაო. არ დაიჯერებდა. რატომ არ დაიჯერებდა, რად ეუცხოებოდა ბარონს ამ გვარი მსჯელობა? იმიტომ, რომ ახლად ესმოდა, სრულიად სხვა აზრებზე იყო აღზრდილი, სრულიად სხვა თვალით უცქეროდა მსოფლიოს, ქვეყანას და, რასაკვირველია, მისი გული და გონება ვერ შეითვისებდა ახალს, უკეთესს; მისი გონება ძველებურად იყო დაჩვეული აზროვნობას... თუმცა ძველს ბარონს ძველის წოდებრივის გონების მოწყობილობა უშლიდა დაეჯერა სიმართლეო, განაგრძობს ზემოხსენებული მეცნიერი: მაგრამ დღეს იმის შთამომავლობას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია დაიჯეროს, შეიგნოს, შეისისხლ-ხორცოს ის, რაც იმას გამო პაპას ყალბად და სიცრუედ ეჩვენებოდა. ეხლანდელი პერი ათასჯერ მეტად ბედნიერად სცხოვრობს, ვიდრე წინად სცხოვრობდა, თუმცა ციხე-დარბაზები და კოშკები აღარ არის მისთვის საჭირო, აღარაა საჭირო მისთვის შეიარაღებული ამალა და ჯარი, უიარაღოდ და უშიშრად, საითაც უნდა, იქით წავა, ვერავინ რას დაუშავებს. ეხლა უიარაღო პერის მოგზაურობა ასჯერ უშიშარია, ვიდრე ძველს დროს ჯავშნით მორთულის რაინდის მოგზაურობა იყო. თუ დღეს იმას არა ჰყავს ვასსალები, რომელნიც თავ-განწირულობით იბრძოდნენ მისთვის, აღარც სიუზერენი ჰყავს, რომელსაც პერისათვის შეეძლო ებძანებინა, რათა პერს თავი დაედო სასიკვდილოდ ერთის უბრალო ჩხუბის გამო, რომელიც იმას სრულიად არ შეეხებოდა. იმას დღეს ყურ-მოჭრილი ყმები, მართალია, მუქთად საქმეს აღარ უკეთებენ, მაგრამ შრომა თავისუფალის მუშისა უფრო ამდიდრებს, ვიდრე ყმების შრომა“ და სხვ.

წოდებრივი სიჯიუტე ხშირად მა-

შეგხვდათ, სცდილობს მაგიერი გადაგიხადოთ ადგილიდგან დათხოვნისათვის და შეურაცხება მოგაყენოთ. ხანჯალ დაკიდებულთ იგი უშიშრად შეურაცხჰყოფს თქვენთან მყოფ მანდილოსანს და ამით სიცილსა სტეხავს თავის-თანავე ხალხთა შორის. განსაკუთრებით ურცხვნი არიან ამ მხრით სომხები. სომეხი მარტო მყოფი ძალიან მხდალი და მშიშარაა, მაგრამ თუ რამდენმამე მოიყარა თავი ერთად, თავის უპირატესობასა გრძნობენ და არავითარს ურცხვობას არ ერიდებიან. ამათზედ უფრო ურცხნი არიან თავად აზნაურთა ნაძირალანი. დიდ-ძალი ქართველი, იმერელი, მეგრელი და სხ. აზნაური და თავადიშვილი, არამც თუ გადამწერლად, არამედ მზარეულად, მოსამსახურედაც-კი სდგანან. სამიკიტნოში დახლიდრად ყოფნას ხომ დიდის სიამოვნებით ჰკისრულობენ და ასეთი თანამდებობა საპატიოდაც-კი მიაჩნიათ. აი ესენი სცდილობენ განსაკუთრებით იარაღის ხმარების ჩვეულების დაცვას. მშვიდობიანს მკვიდრზედ ამათ არავითარი გავლენა არა აქვთ, მხოლოდ ეშინიანთ იმათი და ყველა დიდი მადლობელიც იქნება, თუ მთავრობამ იარაღი აჰყარა ამ დაუდეგართ. იარაღის ტარების აღკრძალვა კი ცოტ-ცოტათი ადვილად შესაძლებელია: ჯერ საჯარო სეირნობის დროს უნდა აღკრძალონ იარაღი, შემდეგ შუაგულს და უმთავრესს ადგილებში, მერე სამაზრო ქალაქებში და დასასრულ ყველგანაც-კი. ამ გვარად ხუთი ექვსის წლის განმავლობაში უდავო-დარაბოდ შეიძლება მკვიდრს იარაღი ერთიანად აჰყარონ.

ამითი თავდება ეს ავტორის მიერ ხელ მოუწერელი წერილი. რაღა თქმა უნდა, მკითხველს ძალიან გაუოცდება, ამ კავკასიის იოტის ოდნავაც-კი არა მსგავს სურათს რომ ამოიკითხავს. სადა ჰნახა, ვინ უთხრა, სად გაიგო, საკვირველია ღმერთმანი! კავკასიის სახელი რომ არა ყოფილიყო ხსენებული, ჩვენ ვერც-კი მივხვდებოდით, თუ კავკასიის შესახებ იყო ლაპარაკი. აბა ამასა ჰქვიან, აი: „ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ომის ამბავს მოუთხრობდაო“. ნათქვამია, „შიშს დიდი თვალები აქვსო“ და უჩინ-მაჩინის ქუდს ქვეშ ამოფარებულ ავტორსაც ისე შეშინებია, დაუნახავს თუ არა ხანჯალი, რომ ოცნების წყალობით ვინ იცის რა არ წარმოუდგენია. იმას რომ დაუჯეროთ, ტფილისი კაცის მკვლელებითა და ავაზაკებით სავსე, უტეხი და გაუვალი ტყე ყოფილა და არა კეთილად განწყობილი ქალაქი. სამწუხარო ის არის, რომ უჩინარი ავტორი სიცრუესაც-კი არ ერიდება, ოღონდ თავისი დააჯეროს ხალხს. იმას რომ ჰკითხოთ, არც გლეხი ატარებს იარაღს და არც თავადიშვილი, მხოლოდ ნაძირალნი ეტანებიან ასეთს სამკაულს ტანისამოსისასაო. პირ-იქით დავარწმუნებთ ავტორს, რომ აქ იარაღს ყველა ატარებს, ვ-საც-კი საიარაღო ტანისამოსი აცვია: გლეხიც, თავადიც, სომეხიც, თათარიც, ლეკიც, მთიულიც და სხ. მაგრამ ეჰ, იმისთანა კაცთან ლაპარაკს, რომელიც ადრე აღებულ აზრის, სულ ერთია, ტყუილი იქნება ეს აზრი, თუ მართალი, დასაბუთებასა სცდილობს, აზრს საბუთებიდგან კი არ ასკვნის, არამედ საბუთებს ეძებს და ორივე ფეხით კოჭლსა და თეძო-ამოვარდნილს ადრევე თითზედ დახვევულსა და აჭრელებულს აზრს მართალსა და ტყუილს საბუთებს აშველიებს ფეხ-მართლად დასაყენებლად, წყლის ნაყვა ერთი ასადა სჯობიან!..

# უცხოეთი

გერმანია. სანქტპეტერბურგის „ლაპარაკი“, რომელიც ჰქონია ბისმარკსა და ერთის საფრანგეთის გაზეთის კორესპონდენტს. როცა დაუწყიათ საუბარი, რა მიზეზით მოხდა, რომ კანცლერობას თავი დაანებეო, ბისმარკმა სთქვა: არა ვჩიკი და ვგონებ, რომ, რაც მოხდა, სწორედ ისე უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა. ჩვენს ახალგაზდა იმპერატორს დიდად სურს, დიდად სწყურიან სულითა და გულით მიეცეს სახელმწიფო მოღვაწეობას და სჯერა, რომ შესაძლოა გააბედნიეროს კაცობრიობა. იმის ხანსა და წლოვანებას შეეფერება კიდეც, რომ ასე სჯერა უფრო ხნიერისთვის ძნელად დასაჯერებელი. მე იმაზე ნაკლებ მჯერა, რომ შეიძლებოდეს ქვეყნიერობის გაბედნიერება, არცა ვმალავდი ამ ჩემს აზრს და ისიც დარწმუნდა, რომ მე იმისთვის გამოსადეგი კაცი აღარ ვიყავ: მართლაცა და არ შეიძლება ურმის თვლში ერთად შევაბათ ხნიერი მუშა ხარი და ფიცხი კვიცი. კერძოდ მე კიდეც მომწონს, რომ მონარხს თვითონ უნდა განაგოს საქმეებიო. ღმერთმა ჰქნას, რომ მის გამგეობას კეთილი ბოლო ჰქონდეს. მე ის მანუგეშებს, რომ მონარხია მტკიცეა გერმანიაში, რომ უოველივე მოვაწყვე, როგორც რიგი იყო, და ახლა უჩემოდაც შეუძლიანთ იოლად წავიდნენო.

შემდეგ საუბარი შეეხო გერმანიის მწერლობის ლაპარაკს ბისმარკის სამსახურიდამ გადადგომის გამო. „ასე მწერლობა ისე სასტიკად არ მომექცა, როგორც ჩემს საკუთარს სამშობლოშიო, სთქვა კანცლერმა ნამყოფმა. ყველა ამას უხარიან, რომ მე აღარა ვარ და შიში აღარავისი ექმნებათ. კაპრივი ყველაზე უკეთესი გენერალია გერმანიის გენერლებში; სამწუხაროა მხოლოდ, რომ ახლა იძულებულია პოლიტიკაში იღვაწოს. ესეც-კია, რომ ახალს კანცლერს აღარავერის შეცვლა არ მოუნდება არც შინა და არც გარედ. ევროპის ყოფა ცხადია და არავითარს საბუთს არ იძლევა, რომ საშიშროება იყოს მოსალოდნელი.

შემდეგ ბისმარკმა თითო-ოროლა წარსული ამბებიც მოიგონა. 1875 წელს კინაღამ ხელ-მეორედ ატყდა ომი გერმანიასა და საფრანგეთს შორის. ბისმარკმა სთქვა: მე და მოლტკე დიდად ვეცადეთ, რომ ეგ მოსალოდნელი ომი აგვეცილებინა თავიდამაო. საფრანგეთის ელჩი უანგარიშოდ ცხარობდა და ფიცხობდა, გორჩაკოვმა-კი თავის სასარგებლოდ გამოიყენა ეს გარემოება და აჩვენებდა ხმას, რომ ვითომ რუსეთმა გამოიხსნა საფრანგეთი დიდის გაჭირვებიდგანაო. 1887 წ. შნებელეს ინციდენტი მშვიდობით გათავდა, იმიტომ რომ მე დიდად გავისარჯე ამ საქმის გამოკვ. ჩვენ ახალის ქვეყნების შეძენა არ გვინდა. არ გვინდა არც ჰოლანდია, არც ბალტიის ზღვის სანაპირო პროვინციები, არც პოლშა. წინად იმის წინააღმდეგაც ვიყავ, რომ შლეზვიგის ის ნაწილი შემოგვიერთებინა, სადაც 150,000 დანიელი მოსახლეობს. რაიცა შეეხება ელზასსა, იგი მხოლოდ სამხრეთ გერმანიის დასაცველად გვინდოდა. ჩვენი გენერლები თხოულობდნენ, მეცი დავიჭიროთო. იმის გულისათვის 100,000 ჯარის კაცი არ არის დასანანებელიო. ისიც ტყუილია, ვითომ მე მინდოდა ავსტრიის ნაწილი, გერმანიელებით დასახლებული, გერმანიისათვის შემომიერთებინა: ვენა და ბერლინი ერთს სახელმწიფოში ვერ მოთავსდებიან და ვერც დაეტევიან. საზოგადოდ გახსოვდეთ, რომ ჩვენ სრულიად გულმაძღარნი ვართ და არ გვინდა ჩქარ-ახლად კიდევ ვცადოთ ჩვენი ბედიო. სოციალურს საქმეებში თ ბისმარკი ბევრად უფრო ეჭვიანი და დაუჯერებელი ყოფილა იმპერატორზე. კაცი ისეა გაჩენილიო, ამბობს ბისმარკი, რომ თავის დღეში არ დასჯერდება თავის ბედს; სოციალისტები მოჰყოლიან და ჰპირდებიან ყოველს სიკეთეს კაცთა ნათესავს, იმისთ სიკეთეს, რომლის მიცემაც არ შეუძლიანთ. ჩემის აზრით, რამდენსაც ბევრს დაუთმობთ სოციალისტებს, იმდენად მეტად იმატებს და გაიზრდება მათი დასი, რომლის მოთავეთა შორის ბევრია სალოცრად ნიჭიერნი კაცნი, როგორც მაგალითად, ლიბკნეხტიო.

მართალიაო, ჰკითხა თურმე ბოლოს კორესპონდენტმა ბისმარკს, რომ აპირობთ კენჭი იყაროთ რეიხსტაგშიო. ბისმარკმა უპასუხა, „თუ დეპუტატობა მომეცი, მივიღებ, მაგრამ არა იმიტომ, რომ შევავიწროვო ჩემი მომდევნო კანცლერი, არამედ იმიტომ, რომ დავიცვა და დავიფარო ჩემი რწმენანი და აზრები ასე მოქცევისათვის ნებაცა მაქვს და მოვალეცა ვარ“.

— ბერლინის ოფიციოზური გაზეთი „Post“-ი ამბობს, რომ შესაძლებელია გერმანია და საფრანგეთი ერთმანეთს დაუმეგობრდეს.

# წვრილი ამბები

გაზეთი „Times“-ის კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ სუდანში (აფრიკაში) საშინელი შიმშილობაა. მკვიდრნი, რომ კვლარას შოულობენ, ცხენს,

ხინჯს შეხედულებას გამოიწვევს ხოლმე რომელისამე საგნის შესახებ. მაგალითად, მდიდრებს უსაქმოდ ყოფნა უფრო სასახელოდ მიაჩნიათ, რადგან ეს უსაქმურობა უფრო აპატიოსნებს ვითომ კაცს, ვიდრე საქმის კეთება, შრომა და მუშაობა. ჩინელების მაღალ წოდების ხალხი დიდრონს ფრჩხილებს იტოვებენ ხელის თითებზე იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ საქმეს არ ვაკეთებთ, სხვას ვაკეთებინებთო, იქვე დედაკაცები-კი განგებ ფეხებს, მუხლებს იფუჩებენ ძალათი, რომ საქმე არ გვაკეთებინონო.

მეცნიერი თავის წერილს შემდეგ სიტყვებით ათავებს: „წოდებრივი სიჯიუტე, როგორც პატრიოტული გრძნობა, საჭიროა საზოგადოებისათვისაო, თუმცა-კი ეს სიჯიუტე შემცირდება, შესუსტდება იმის დაკვალად, რამდენადაც კაცობრიობა სოციალურად განვითარდებაო“. ეს აზრი მეცნიერისა ნახევარზე, მგონია, მართალია და სრულიად-კი არა. პატრიოტობას წოდებრიობა მხოლოდ გარეგნადა ჰგავს და შინაგანი მათი ბუნება განსხვავებულია. რა მსგავსება უნდა ჰქონდეს ამ ორს გრძნობას? რა შესადარებელია პატრიოტულ გრძნობასთან, რომელსაც პროგრესი, განათლება, სოციალური განვითარება არ უარჰყოფს, პროგრესისაგან უარყოფილს წოდებრივ სიჯიუტესთან? არაფერი. პატრიოტულს გრძნობას სახეში ბედნიერება აქვს მთელის ერისა, წოდებათა გაურჩევლად, ხოლო წოდებრივს სიჯიუტეს მარტო თავისი საკუთარი სარგებლობა. მართალია, ზოგჯერ ერისათვის საჭიროა და სასარგებლოა ერთის რომელისამე წოდების გაძლიერება, ეს მაშინ, როცა უმრავლესობა ცხვრის ფარეხს წარმოადგენს და თავისის თავისა და საქვეყნო საქმეების მოვლისა და შენახვის შნო და უნარი არა აქვს. ამისთანა დროს ერს ესაჭიროება წოდება წინამძღვრად, წოდება, რომელსაც უნდა ჰქონდეს სახსარი, საშუალება ნივთიერი და გონებრივი, ხელში ეპყროს დროშა და ცხოვრებას ჰმართავდეს თანახმად სიმართლისა და პროგრესისა. უკეთუ ამას არა კისრულობს და მხოლოდ ტვინის მწოველია, მაშინ ამისთანა წოდების ყოფნას არ-ყოფნა ბევრად სჯობია. წოდებად დაყოფა ერისა ისტორიულის ცხოვრების ნაყოფია, საჭიროებისაგან არის გამოწვეული, სიჯიუტედ გადაქცეული და ისევ ისტორიულმა საჭიროებამ უნდა განდევნოს ცხოვრებიდგან: როგორც ჯარს ღონეს აძლევს ის გარემოება, როცა თითოეულს მეომარს ესმის, რისთვისაც იბრძვის, როცა თითოეული ჯარის კაცი შეგნებულია, თავ-გზიანი, ისე ცხოვრება ერისა უკეთესად წავა მაშინ, როცა ბრმად-კი არ მისდევს მოწინავე წოდებას ერი, არამედ ესმის, რისთვისაც მისდევს და სადაც მიდის, რისთვისაც ჰხარჯავს ძალ-ღონესა და ხშირად სისხლსაცა ჰღვრის. ყოჩაღის, შეგნებულის ჯარის კაცებისაგან შემდგარის მხედრობისათვის მაგრე რიგად საჭირო არც-კია ბელადი; ყველა იმათგანი ბელადია; მოკლულის ადგილას სხვა დგება ბელადად. ამისთანა მხედრობა ან გაწყდება და ან გაიმარჯვებს... საუბედუროდ, დღეს მრავალ ერთა ცხოვრება ისეა დაყენებული, რომ მთელის ხალხისა და ერის საქმეები ერთს რომელსამე წოდებას უდგია ხელთ და დანარჩენი ნაწილი ერისა, განათლებას მოკლებული, განზე უდგას ცხოვრებას და მხოლოდ ცხოველურად ცხოვრობს.

რა თქმა უნდა, ისა სჯობია, უწინარეს ყოვლისა, რომ ეს უმრავლესობაც მომზადდეს და ერის ცხოვრების უღელში შეებას, მაგრამ რადგან ეს არა ჰხერხდება, ცალკე წოდება მაინც უნდა ეცადოს, მეტი ძალ-ღონე, ნივთიერი თუ გონებრივი, შეიკრიბოს, რომ შვილებიც უკეთესად აღზარდოს, უკეთესი მუშაკები მისცეს ქვეყანას და საერო, საზოგადო საქმეებსაც კარგად გაუძღვეს, თავისი ცოდნა და გამოცდილება ქვეყანას საკეთილოდ მოახმაროს. დღეს ყველგან მცირედი ნაწილი ერისა განაგებს მთელის ქვეყნის, უმრავლესობის საქმეს და ხშირად, როგორც უფროსი უმცროსთან, უსამართლობასა და მეტოქეობას იჩენს ხოლმე ერის შესახებ. საუბედუროდ, ამ მმართველთა წოდებაშიაც ცალ-ცალკე ინტერესების ბრძოლაა ატეხილი, ამის გამო საქვეყნო საქმე ფერხდება, იხლართება, ვერ მიდის წესიერად. განათლებულ ერთა ცხოვრება თან და-თან სულ სხვა გვარად ეწყობა, სხვა აზრს მისდევს. განათლებას შეგნებული აქვს, რომ ინტერესების შეზავება ერთმანეთს შორის ქვეყნის მაზარალებელია, ამიტომ ეს განათლება ჰქადაგებს სხვა-და სხვა წოდების თანხმობა-ძმობას; ისე დააკმაყოფილე შენი სურვილი, რომ ამით სხვა არ აზარალოო. ამიტომ მეცნიერება ისეთს პირადს ინტერესს, რომელსაც მარტო თავისი სარგებლობა ახსოვს და სხვისა-კი ფეხებზე ჰკიდია, უარ-ჰყოფს. ამის გამოვე უარ ჰყოფს წოდებრივს სიჯიუტეს და ვეირჩევს წოდებრივს „შენ-ჩემობაზე“ ხელი აეღოთ, თუ ჩვენისავე თავისათვის კარგი გვინდა.

პატრიოტობა და წოდებრიობა ერთმანერთში არ უნდა აურიოთ. პატრიოტობა ეროვნობის დედა-ბოძზეა დამკვიდრებული და იმდენადვე საჭიროა ეს გრძნობა, რამდენადაც გამოსადეგია ყოველის კაცის ინდივიდუალურად აღზრდა, კანონიერი განვითარება ერისა. როგორც საზოგადოებას არ აწყენს, არამედ არგებს, როცა იგი შესდგება ნორმალურად, ინდივიდულურად აღზრდილ წევრთაგან, აგრეთვე მთელი კაცობრიობა არაფერს იზარალებს და უფრო ირგებს, ისარგებლებს, როცა ყოველი ერი, შემადგენელი ამ კაცობრიობისა, განვითარება ეროვნულად, თავისის ზნეობრივის ძალ ღონის შემუშავებით.

წოდებრივს სიჯიუტეს როგორც მარტო თავისი „მე“ ახსოვს, ისე მუდამ მარტო თავისი თავი მოსწონს, თავის ვინაობით ამაყობს, ყველა თავის ნამოქმედარი თუ ნააზრევი საუკეთესოდ მიაჩნია და სხვის ღვაწლს-კი არ აფასებს, სხვის მადლს მურსა და ტალახსა სცხებს. მაშ უნდა გვახსოვდეს და ნუ დავივიწყებთ, რომ წოდებრივი სიჯიუტე მავნებელია, მსჯელობას ამრუდებს, ხშირად სიმართლეს ეწინააღმდეგება. გვახსოვდეს და შევისისხლ-ხორცოთ ეს ჭეშმარიტება და ნუ ავურევთ ერთმანერთში პატრიოტულს გრძნობასა და წოდებრივს სიჯიუტეს, რადგან

იგი სხვაა, ეს სულ სხვაა,
შუა უძევს დიდი ზღვარი.

არ უნდა დავივიწყოთ, თორემ იმისთანა ვაჟბატონები არ მოგვაკლდება, როგორც ერთს „კეთილ-შობილთაგანსაც მე ვიცნობ. ერთი ახალგაზდა გლეხთაგანი გარდაიცვალა, პატიოსანი, მუშაკი და მართალი ადამიანი. იმის დასაფლავებას უნდა დავესწრებოდი და იქ მივდიოდით. მე გზა-გზა გარდაცვალებულს ვაქებდი. პასუხად ჩემმა მომასლაათე ახალგაზდამ მითხრა: «მართალია; კეთილშობილ ხალხშიც ძვირად იპოვნიდი მაგისთანა ახალგაზდას, განაღამც გლეხებშიო». მე ავხედ-ჩავხედე ამ ცოცხალს ახალგაზდას, ხელი გავუწოდე და გამოვემშვიდობე. არ ვიცი, რა სთქვა? არ ვიცი, დღესაც კეთილშობილობის მიხედვით აფასებს იგი კაცის ღირსებას, თუ, ცოტაც არის, ეჭვში და ჰფიქრობს: ეს რა სისულელე წამოვროშეო? ეჰ, ჩემო ექვთიმე, გული მოკლა ამისთანა ხალხში ტრიალმა. შეჰხედავ, კაცია, ტანზე თავი აბია და შიგ-კი, რა ვიცი, რა უყრია! ამისთანებისათვის არა თქმულა სიმართლე, იმათთვის უმნიშვნელოა სიტყვები დიდებულის პოეტისა:

ფილოსოფოსნი შემოკრბენ,
ამაზედ ჰქონდათ ცილობა:
ათასად გვარი დაფასდა,
ათი-ათასად ზრდილობა;
თუ კაცი თითონ არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობა!

შენი ერთგული
მამუკა

ვირს, ძაღლს, კატას, ვირთაგვას, გველს, ხვლიკს, ძველ ძვლებს, ტყავებს და ერთის სიტყვით, რაც-კი რამ მოხვდებათ, ყველაფერს სჭამენ. მე თითონ ჩემის თვალით ვხედავ ამ უბედურებას. მხეცად ქცეული ადამიანები ერთ ლუკმა სანოვაგეს გულისთვის ერთმანეთს კბილით დასახევად არა ზოგვენ, სასიკვდილოდ ებრძვიან და ლამის ერთმანეთი დასჭამონ. აი ერთი ამ გვარი მაგალითი. ერთი მოზრდილი ყმაწვილი მივარდა პატარა ბავშვს, რომელსაც ის იყო ლუკმა უნდა გადაეყლაპა, ყელში ხელი წაუჭირა და გაგუდვას ლამობდა, იქნება პირიდგან ლუკმა წამოვაგდებინოვო და მე შევჭამოო. მაგრამ ასეთს შემაძრწუნებელ ამბავს ყოველ ფეხის გადადგმაზე წააწყდებით და რამდენი ერთი უნდა აღწეროს, როდესაც ყოველ დღე ხალხი ასობით და ათასობით იხოცებაო. შემდეგ კორესპონდენტი ვილაც გოვარტის სიტყვას იხსენიებს: „ჩვენ შევიჭერით სუდანში, ვისაც-კი შრომა შეეძლო, ყველა ამოვხოცეთ, ქალებისა, მოხუცებულებისა და ბავშვების გარდა, და ასეთი მტარვალობა რომ ჩავიდინეთ, აოხრებული ქვეყანა მხეცთა და ფრინველთ მივუგდეთ დასაგლეჯად. ჩვენი განზრახვა იყო, რომ ხალხისათვის განათლებისა და სიცოცხლის სული შთაგვედგა, მაგრამ განათლების მაგიერად ბნელში ჩავაგდეთ და სიცოცხლის მაგიერად სიკვდილი მოვუვლინეთ და გავანადგურეთ. დიაღ, ისეთი ცოდვა ჩავიდინეთ, რომ ძნელად თუ ოდესმე სინიდისი დაგვიმშვიდდება“.

— როგორც ვიცით, საფრანგეთის გამოჩენილმა დიპლომატმა ტალეირანმა თავის სიცოცხლეშივე თავის დროის მემუარები დაწერა, მაგრამ ამასთანავე ანდერძად დასდო, რომ ოც-და-ათს წლამდის არ დაიბეჭდოსო. ეს მემუარები ახლა ჰერცოგს დე-ბროლისა აქვს თურმე ხელში და მალე კიდევაც დაიბეჭდება. ერთი ტომი ამ წლის გასულს გამოვა და დანარჩენი სამი საგაისოდ.

— ოკლენდში (კალიფორნიაში) ერთი დიდი უბედურება მოხდა. ორთქლის-მატარებელს უნდა გაევლო ერთს ხიდზე, რომელიც დიდს მდინარეზე იყო გადებული. გზის ყარაულის დაუდევრობის გამო ხიდი შეუკეცავი დარჩა; მატარებელი ზედ შედგა და ერთი ვაგონი ჩავარდა მდინარეში შიგ მჯდომარე ორმოც და ათის კაცითურთ. წყალში საშინელი ბრძოლა ასტუდა და ორმოც-და-ათში მხოლოდ ოცმა უშველა თავს, დანარჩენები-კი დაირჩვნენ.

— მთელს ქვეყანაზედ ყველაზე უმცროსი მასწავლებელი ალექსანდრიის ერთს სკოლაშია. იგი იქნება 14 წლისა. სახელი მისი ალკივიად ზენდუცი. უფრო საკვირველი ის არის, რომ ეს მცირეწლოვანი ყმაწვილი ყველაზე უფრო ძნელ საგანს ასწავლის, ე. ი. ინგლისის ლიტერატურას.

# დეპეშა

30 მაისი

პეტერბურგი. გუშინ გროდნოს გრენადერთა ლეიბ-გვარდიის პოლკის დეპუტაციამ მიულოცა დიდს მთავარს პავლე ალექსანდრეს ძეს პოლკის შეფად დანიშვნიდგან ოც-და-ხუთის წლის შესრულება და მიართვა მის უმაღლესობას ამ პოლკის ისტორია და დიდს მთავრინას ყვავილების კონა. მისმა უმაღლესობამ უბოძა პოლკს ხელოვნურად-გაკეთებული თასი. მის უდიდებულესობის გუსარებმა პატივი სცეს დეპუტაციას და მიიპატიჟეს საუზმეზე და საღამოს დეპუტაციამ ისადილა უავგუსტოესს შეფისას.

უმაღლესად ნაბრძანებია, რომ ბანაკებად განაწილების დროს გვარდიის სათადარიგო ჯარების აფიცრები ქვეითა ჯარებს შეუერთდენ, და გვარდიის ჯარებს მხოლოდ განსაკუთრებით შუამდგომლობითაო.

გუშინ კრონშტადტში სამხედრო გემით მოვიდნენ დანიის კრონპრინცის შვილი პრინცი კარლოსი და სიამის მეფის შვილი სხვა კადეტებითურთ. დღეს მიველენ პეტერბურგს და დაათვალიერებენ საადმირალოებს, ნავთსადგურებს, გემის საკეთებელ ქარხნებს და გემებს.

სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ახალი პროექტი მალე იქმნება საბოლოოდ განხილული.

პეტრე დიდის მეცამეტე პრემიათაგან პირველი ხარისხის პრემია, 2000 მან., მიესაჯა ვ. მუსსელიუსს რუსულ-ლათინურის ლექსიკონისათვის, და მეორე ხარისხისა, 500 მანათი, პროფესსორს ლ. მილლერს „Joratii Flacci Carmina“-ს გამოცემისათვის.

ორიენბაუმში მსროლელთა ჯარმა გამოსცადა „ბერდანკა“ და ევროპის ყველა სისტემის თოფები. „Гражданинъ“-ი ამბობს, რომ ბერდანკას ვერცერთმა ვერ აჯობაო.

„С.-Пб. Вѣд.“ იუწყება, რომ პერმის საგუბერნიო ერობა და ადმინისტრაცია შუამდგომლობს, რაც შეიძლება, მალე შემოღებულ იქმნას ჩვენს გუბერნიაში საერო უფროსების წესდებაო.

მოსკოვის გაზეთებს ატყობინებენ დეპეშით, რომ უუალეისა და ნევიანის ქარხნები გადიწვაო; 3000 სახლი, 4 სკოლა, 3 საავადმყოფო, 3 ეკკლესია და სასტუმრო ოთახები მთლად გადიბუგა; 40 კაცი იმსხვერპლა ცეცხლმა; 18000 კაცი დარჩა უთავ-შესაფაროდ.

ლონდონი. კრიტში მალე მობრუნდება შაქირ-ფაშა, რომელსაც მინდობილი აქვს კიდევ ბევრი რამ დაუთმოს მკვიდრთ; სფაკიის ახლო ოსმალების ჯარებს და მთიულ ქრისტიანებს ჩხუბი მოუვიდათ; ჯარებმა ბევრი კაცი დაჰკარგეს; ბევრი დაატიმრეს.

პეტერბურგის ბირჟა, 29 მაისი.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულია | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — | „ | | „ | 6 | 94 |
| ტამოჟნის კუპონები | — | „ | | „ | 139 | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — | „ | — | „ | 1,08½ | |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | 231¼ | |
| — მეორისა | — | „ | — | „ | 213¼ | |
| — მესამისა | 212 | | — | „ | 211¾ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ
ახლად დაარსებულ
«ქართველთა ამხანაგობის»
წიგნის მაღაზიაში
(ლორის მელიქოვის ქუჩა)
დაბადება და აღზრდა
მეფე ერეკლესი
ლეგენდა ლექსად ბარნასი
ფასი 15 კაპ.
(6—4)

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:
## გორკილი
დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა
დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.
ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“
## პატარა კახი
ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად
აკაკისა
ფასი 50 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:
ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,
შედგენილი
მოსე ჯანაშვილის-მიერ.
ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა
ჟურნალ „ნობათი“-ს
ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი», — სულ თერთმეტი წიგნი ღირს
2 მან.
ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ძმა ძმის მტერი, მოთხრობა წითლიძისა . . . . | | „ 10 კ. |
| უბის წიგნი, ეალ. გუნიასი 1890 წ. . . . . . . | | „ 40 |
| თეით მასწავლებელი ბიაშვილისა . . . . . . | | „ 45 |
| პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით . . . . . . . | | „ 25 |
| წმინდა ნინო. . . . . . | | „ 2 |
| ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა . . . . | | „ 2 |
| ესთერი . . . . . . . | | „ 5 |
| დარიგება სამღვთო სჯულის სწავლებაზედ, ლამბაშ-ძისა . . . . | | „ 30 |
| ბექანიანი. . . . . . | | „ 15 |
| ძეგლის-დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა. იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . . | | „ 25 |
| განკიცხული ა. მოჩხუბარიძისა . . . . . . . | | „ 60 |

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:
## დედა ენა და ბუნების კარი
გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.
დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.
ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.
ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.
„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.
ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა — ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს — სამ აბაზად ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.
ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.
მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:
Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

კერძო ექიმი
## პრეობრაჟენსკი
არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაშეშებას ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.
ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.
ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ხიდის პირდაპირ, სანტენდანტოს უწყების მახლობლად.
(10—3)

## კოკორი
ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.
დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,
ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეკზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.
ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ, 31-го Мая 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე